

შპს M B G. LTD

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2022 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძვლები	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	13
4. ძირითადი საშუალებები	14
5. ინვესტიციები მკვამირე და ერთობლივ საწარმოებში.....	15
6. გაცემული სესხები	15
7. მარაგები.....	16
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
10. მიღებული სესხები	17
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
12. ამონაგები სამშენებლო კონტრაქტებიდან და ბეტონის რეალიზაციიდან.....	19
13. სამშენებლო კონტრაქტების ხარჯი.....	19
14. სხვა წმინდა შემოსავალი	20
15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები.....	20
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
17. პირობითი ვალდებულებები	22
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	22
19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	23
მმართველობის ანგარიშგება	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს M B G. LTD-ის დამფუძნებელსა და ხელმძღვანელობას

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს M B G. LTD-ის (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2022 წელს კომპანიამ გააუფასურა ერთობლივ საწარმოში თვითღირებულებით აღრიცხული ინვესტიცია და ერთობლივ საწარმოზე გაცემული სესხი 1,995,148 ლარის და 626,075 ლარის მოცულობით, შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება გაუფასურების მოცულობის და გაუფასურების აღრიცხვის პერიოდის სისწორის დასადგენად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ერთობლივი საწარმოს ინვესტიციის და გაცემული სესხის გაუფასურებაში, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებში.

კომპანიამ 2022 და 2021 წლებში გარდამავალ სამშენებლო კონტრაქტებზე აღიარა 953,262 ლარის და 390,785 ლარის ოდენობის შემოსავალი, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება მოცემული შემოსავალი აღიარებული იყო თუ არა მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებულ შემოსავლებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს დაკავშირებული და არადაკავშირებული მხარეების მიერ მიღებული სესხების თავდებს და თანამსესხებელს. სესხების მოცულობა, რომლისთვისაც კომპანია წარმოადგენს თავდებს და თანამსესხებელს 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამურად შეადგენს 7,489,097 ლარს და 1,511,732 ლარს, შესაბამისად. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მტკიცებულება იმ სესხების წარდგენაზე და აღრიცხვაზე, რომლებზეც კომპანია წარმოადგენს თანამსესხებელს. ბანკის დასტურის წერილში, აღნიშნული სესხების ნაწილი კომპანიაზე გაცემულ სესხებადაა მითითებული. კომპანიას მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების საწყისი აღიარება არ მოუხდენია რეალური ღირებულებით, ასევე არ შეუფასებია დაკავშირებული მხარის მიერ ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა, რეზერვის შესაფასებლად. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა, რაიმე სახის კორექტირება ფინანსური გარანტიის აღიარებასთან, შემდგომ შეფასებასთან და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაშიფვრასთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.



მნიშვნელოვან გარემოებათა აზიზი

ჩვენი გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება მე-10 მენიშვნაზე, რომელიც განმარტავს, რომ კომპანია ვერ აკმაყოფილებს სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფინანსურ შეზღუდვებს. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებებზე, რაც მიუთითებს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობის არსებობაზე:

- 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, კომპანიას აქვს წმინდა ზარალი 528,945 ლარის ოდენობით;
- კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს უარყოფითი წმინდა მოკლევადიანი აქტივები და მოკლევადიანი ვალდებულებების მეტობა მოკლევადიან აქტივებზე შეადგენს 5,513,752 ლარს;
- კომპანიას ბანკისგან მიღებული აქვს სესხები, რომლებზეც დადგენილია შეზღუდვები, რომელიც დარღვეულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მიღებული სესხები წარდგენილია მოკლევადიან ვალდებულებებში. მოცემული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,477,842 ლარს.

მოცემული ფაქტები მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე კორექტირებას, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს აღნიშნული განუსაზღვრელობით.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვეყონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენი მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასა და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევლება ამ ფაქტის ინფორმირება. როგორც აღწერილია ზემოთ - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, კომპანიის სამშენებლო კონტრაქტების ნაწილსა და ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის და ერთობლივ საწარმოზე გაცემული სესხის გაუფასურების აღრიცხვის სისწორეზე, ასევე დაკავშირებული მხარეების სესხებზე თანამსესხებლობის და თავდებობის აღრიცხვის სისწორეზე. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.



ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს რწმუნებას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგბსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.



დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

პირობითი მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ პირობით მოსაზრებას, რომ:

- ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ასევე მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

13 ოქტომბერი, 2023

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს M B G. LTD-ის დამფუძნებელსა და ხელმძღვანელობას

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს M B G. LTD-ის (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2022 წელს კომპანიამ გააუფასურა ერთობლივ საწარმოში თვითღირებულებით აღრიცხული ინვესტიცია და ერთობლივ საწარმოზე გაცემული სესხი 1,995,148 ლარის და 626,075 ლარის მოცულობით, შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება გაუფასურების მოცულობის და გაუფასურების აღრიცხვის პერიოდის სისწორის დასადგენად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ერთობლივი საწარმოს ინვესტიციის და გაცემული სესხის გაუფასურებაში, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებში.

კომპანიამ 2022 და 2021 წლებში გარდამავალ სამშენებლო კონტრაქტებზე აღიარა 953,262 ლარის და 390,785 ლარის ოდენობის შემოსავალი, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება მოცემული შემოსავალი აღიარებული იყო თუ არა მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებულ შემოსავლებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს დაკავშირებული და არადაკავშირებული მხარეების მიერ მიღებული სესხების თავდებს და თანამსესხებელს. სესხების მოცულობა, რომლისთვისაც კომპანია წარმოადგენს თავდებს და თანამსესხებელს 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამურად შეადგენს 7,489,097 ლარს და 1,511,732 ლარს, შესაბამისად. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მტკიცებულება იმ სესხების წარდგენაზე და აღრიცხვაზე, რომლებზეც კომპანია წარმოადგენს თანამსესხებელს. ბანკის დასტურის წერილში, აღნიშნული სესხების ნაწილი კომპანიაზე გაცემულ სესხებადაა მითითებული. კომპანიას მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების საწყისი აღიარება არ მოუხდენია რეალური ღირებულებით, ასევე არ შეუფასებია დაკავშირებული მხარის მიერ ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა, რეზერვის შესაფასებლად. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განვსაზღვრა საჭირო იყო თუ არა, რაიმე სახის კორექტირება ფინანსური გარანტიის აღიარებასთან, შემდგომ შეფასებასთან და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაშიფვრასთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.



მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცი

ჩვენ გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება მე-10 შენიშვნაზე, რომელიც განმარტავს, რომ კომპანია ვერ აკმაყოფილებს სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფინანსურ შეზღუდვებს. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებებზე, რაც მიუთითებს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობის არსებობაზე:

- 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, კომპანიას აქვს წმინდა ზარალი 528,945 ლარის ოდენობით;
- კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს უარყოფითი წმინდა მოკლევადიანი აქტივები და მოკლევადიანი ვალდებულებების მეტობა მოკლევადიან აქტივებზე შეადგენს 5,513,752 ლარს;
- კომპანიას ბანკისგან მიღებული აქვს სესხები, რომლებზეც დადგენილია შეზღუდვები, რომელიც დარღვეულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მიღებული სესხები წარდგენილია მოკლევადიან ვალდებულებებში. მოცემული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,477,842 ლარს.

მოცემული ფაქტები მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე კორექტირებას, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს აღნიშნული განუსაზღვრელობით.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. როგორც აღწერილია ზემოთ - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, კომპანიის სამშენებლო კონტრაქტების ნაწილსა და ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის და ერთობლივ საწარმოზე გაცემული სესხის გაუფასურების აღრიცხვის სისწორეზე, ასევე დაკავშირებული მხარეების სესხებზე თანამსესხებლობის და თავდებობის აღრიცხვის სისწორეზე. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს-ების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს რწმუნებას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საადრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

პირობითი მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ პირობითი მოსაზრებას, რომ:

- ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ასევე მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

13 ოქტომბერი, 2023

შპს M B G. LTD

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,428,958	4,473,226
ინვესტიცია მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	5	1,632,776	4,663,964
გაცემული სესხები	6	474,950	744,605
		5,536,684	9,881,795
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	646,528	1,152,166
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	772,625	1,556,674
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	68,603	265,416
		1,487,756	2,974,256
სულ აქტივები		7,024,440	12,856,051
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		25,100	25,100
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(181,672)	347,272
სულ კაპიტალი		(156,572)	372,372
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	179,505	820,546
		179,505	820,546
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	5,070,692	6,312,034
საგადასახადო ვალდებულება		49,745	226,534
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,881,070	5,124,565
		7,001,507	11,663,133
სულ ვალდებულებები		7,181,012	12,483,679
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,024,440	12,856,051

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 13 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	გიორგი ტორჩინავა
მთავარი ბუღალტერი	_____	ალექსანდრე აბხაზიშვილი

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,428,958	4,473,226
ინვესტიცია მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	5	1,632,776	4,663,964
გაცემული სესხები	6	474,950	744,605
		5,536,684	9,881,795
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	646,528	1,152,166
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	772,625	1,556,674
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	68,603	265,416
		1,487,756	2,974,256
სულ აქტივები		7,024,440	12,856,051
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		25,100	25,100
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(181,672)	347,272
სულ კაპიტალი		(156,572)	372,372
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	179,505	820,546
		179,505	820,546
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	5,070,692	6,312,034
საგადასახადო ვალდებულება		49,745	226,534
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,881,070	5,124,565
		7,001,507	11,663,133
სულ ვალდებულებები		7,181,012	12,483,679
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,024,440	12,856,051

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 13 ოქტომბრის შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი ტორჩინავა

მთავარი ბუღალტერი



ალექსანდრე აბხაზიშვილი

შპს M B G. LTD

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები სამშენებლო კონტრაქტებიდან	12	14,977,033	10,549,733
სამშენებლო კონტრაქტების ხარჯი	13	(12,746,115)	(10,749,614)
საერთო მოგება/(ზარალი)		2,230,918	(199,881)
ზარალიანი სამშენებლო პროექტებიდან მიღებული ზარალი	11	(141,508)	(1,296,267)
სხვა წმინდა შემოსავალი	14	1,137,336	97,959
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯის ცვილება		11,672	755,421
გაცემული სესხის გაუფასურება		(1,116,536)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,086,113)	(1,187,890)
ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციის გაუფასურება	5	(1,995,148)	(485,137)
საოპერაციო ზარალი		(959,379)	(2,315,795)
წმინდა ფინანსური ხარჯი		(424,888)	(510,049)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		855,554	692,491
ზარალი დაბეგვრამდე		(528,713)	(2,133,353)
მოგების გადასახადის ხარჯი		(231)	(63,158)
მთლიანი სრული ზარალი		(528,944)	(2,196,511)

შპს M B G. LTD

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ
31 დეკემბერი 2020	25,100	2,901,678	2,926,778
გამოცხადებული დივიდენდები	-	(357,895)	(357,895)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(2,196,511)	(2,196,511)
31 დეკემბერი 2021	25,100	347,272	372,372
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(528,944)	(528,944)
31 დეკემბერი 2022	25,100	(181,672)	(156,572)

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
ზარალი დაბეგვრამდე	(528,713)	(2,133,353)
კორექტირებები:		-
ზარალი სამშენებლო პროექტებიდან	141,508	1,296,267
ცვეთა	930,774	936,780
წმინდა ფინანსური ხარჯი	424,888	510,049
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების ანარიცხის ცვლილება	(11,672)	(755,421)
გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	1,116,536	-
წმინდა (მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	(909,024)	11,421
მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული ინვესტიციების გაუფასურება	1,995,148	485,137
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(855,554)	(692,491)
ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	2,303,891	(341,611)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:		
მარაგები	128,697	(271,051)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	598,482	1,629,077
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,201,042)	634,827
საგადასახადო ვალდებულებები	(176,789)	49,143
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	653,239	1,700,385
გადახდილი პროცენტები	(438,036)	(562,436)
გადახდილი მოგების გადასახადი	(231)	(63,158)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	214,972	1,074,791
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(350,663)	(1,052,626)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	1,518,664	262,530
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	225,863	(1,654,639)
სესხების გაცემა	(1,676,974)	(1,223,662)
გაცემული სესხების დაბრუნება	830,051	-
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები	546,941	(3,668,397)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:		
სესხების მიღება	2,925,120	12,313,371
სესხების დაფარვა	(3,882,901)	(9,446,362)
გადახდილი დივიდენდები	-	(357,895)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(957,781)	2,509,114
წმინდა ფულადი სახსრების შემცირება	(195,868)	(84,492)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	265,416	306,395
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(945)	43,513
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	68,603	265,416

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს M B G. LTD არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო (შემდგომში - „კომპანია“), რომელიც დაარსდა 2011 წელს. კომპანია დარეგისტრირდა შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით: 400015292.

კომპანიის მთავარი საქმიანობაა მშენებლობა. კომპანიის ძირითადი საოპერაციო საქმიანობა მოიცავს რკინა-ბეტონის სამუშაოებთან დაკავშირებულ სამშენებლო მომსახურებებს საქართველოს მასშტაბით.

2017 წელს კომპანიამ შეისყიდა შპს ვახუშტი პლაზას (შემდგომში „ერთობლივი საწარმო“) 20%-იანი წილი, 2021 წლის 11 მარტს კომპანიამ ერთობლივ საწარმოში დამატებით შეიძინა 40%-იანი წილი. ერთობლივმა საწარმომ ააშენა საოფისე შენობა, ფართის რეალიზაციის და იჯარით გაცემის მიზნით.

2020 წელს კომპანიამ შეისყიდა სს ვილა გოდოლში (შემდგომში „მეკავშირე საწარმო“) 30%-იანი წილი. მეკავშირე საწარმო აშენებს სასტუმროს კახეთში, თელავის რაიონში, მისი შემდგომი ოპერირების მიზნით. 2022 წელს კომპანიამ სრულად გაყიდა სს ვილა გოდოლში არსებული წილი.

2022 წელს კომპანიამ დააარსა შპს ემბიჯი პროდაქშენ, სადაც ფლობს კომპანიის 50%-ს. აღნიშნული კომპანია წარმოადგენს შპს M B G. LTD-ის მეკავშირე საწარმოს. მეკავშირე საწარმო აწარმოებს სამშენებლო ინვენტარს, შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით 100%-იანი წილის მფლობელი და მაკონტროლებელი მხარე არის გიორგი ტორჩინავა. კომპანიის იურიდიული მისამართია ზედაუბნის ქუჩა N21, თბილისი, საქართველო.

2. მომზადების საფუძვლები**ანგარიშგების შესაბამისობა**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდი წარმოადგენს კომპანიის პირველ წელს, როდესაც კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა მსს ფასს-ის შესაბამისად. მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღი არის 2021 წლის 1 იანვარი.

კომპანიამ 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნები, მომხმარებლებისთვის საჭირო ინფორმაცია და გადაწყვიტა, რომ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება უფრო სწორად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ცვლილებებს 2021 წელს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებულ და მსს ფასს სტანდარტებით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას შორის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	2021 ფასს	ცვლილება	2021 მსს ფასს
ძირითადი საშუალებები (აქტივის გამოყენების უფლება)	1	4,520,805	(47,579)	4,473,226
ინვესტიცია მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში*	2	3,840,217	823,747	4,663,964
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	1,2,3	(479,994)	827,266	347,272
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (საიჯარო ვალდებულება)	1	5,175,663	(51,098)	5,124,565

სრული შემოსავლის ანგარიშგება

სამშენებლო კონტრაქტების ხარჯი (საიჯარო აქტივის ცვეთა)	1	(10,773,906)	24,292	(10,749,614)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (იჯარის ხარჯი)	1	(1,135,992)	(51,898)	(1,187,890)
ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციის გაუფასურება წმინდა ფინანსური ხარჯი (საიჯარო ვალდებულების საპროცენტი ხარჯი)	3	-	(485,137)	(485,137)
ასოცირებული საწარმოსგან მიღებული ზარალი წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან (საიჯარო ვალდებულების გადაფასება)	1	(515,621)	5,572	(510,049)
	2	(372,271)	372,271	-
	1	673,512	18,979	692,491

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

1 - რადგანაც მსს ფასს სტანდარტებით არ არის მოთხოვნილი აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარება და აღრიცხვა, ცვლილება ეხება აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების შესაბამისი ანგარიშების გაუქმებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ხოლო მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში კი გაუქმდა საიჯარო ვალდებულების გადაფასება, საიჯარო ვალდებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვა და აქტივის გამოყენების უფლებაზე დარიცხული ცვეთა, საიჯარო ხარჯი კი აღდგა ხარჯების მუხლებში.

2 - მსს ფასს სტანდარტები ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების აღრიცხვისას იძლევა არჩევანის საშუალებას, წილობრივი მეთოდით აღრიცხვას, თვითღირებულების მეთოდით აღრიცხვას და რეალური ღირებულების მეთოდით აღრიცხვას შორის. კომპანიამ შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა და ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების აღრიცხვისთვის განსაზღვრის წილობრივი მეთოდიდან გადავიდა თვითღირებულების მეთოდზე, ცვლილების შედეგად გაუქმდა წინა წლებში წილობრივი მეთოდის მოთხოვნების შესაბამისად ასოცირებული და ერთობლივი საწარმოების შედეგების კომპანიაზე კონსოლიდაცია.

3 - 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ გააუფასურა თვითღირებულების მეთოდით აღრიცხული ინვესტიცია ასოცირებულ საწარმოში.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც არის მომზადებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება, მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიას 2022 წელს ქონდა ფინანსური სირთულეები, რაც ძირითადად გამოწვეული იყო დოლარის კურსის შემცირებით (სამშენებლო კონტრაქტები კომპანიას დოლარში აქვს გაფორმებული) და სამშენებლო მარაგებზე ფასის მკვეთრი ზრდით.

ფინანსურმა სირთულეებმა გამოიწვია ფუნქციონირებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა შემდეგი ფაქტორების გამო:

- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, კომპანიას აქვს წმინდა ზარალი 528,944 ლარის ოდენობით;
- კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს უარყოფითი წმინდა მოკლევადიანი აქტივები და მოკლევადიანი ვალდებულებების მეტობა მოკლევადიან აქტივებზე შეადგენს 5,513,751 ლარს;
- კომპანიას ბანკისგან მიღებული აქვს სესხები, რომლებზეც დადგენილია შეზღუდვები, რომელიც დარღვეულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მიღებული სესხები წარდგენილია მოკლევადიან ვალდებულებებში. მოცემული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,477,842 ლარს.

მიუხედავად ზემოთ აღწერილი მნიშვნელოვანი გარემოებებისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მიზანშეწონილია კომპანიისთვის და იგი მოახდენს თავისი ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება ეყრდნობა შემდეგ ფაქტორებს:

- კომპანიამ გაითვალისწინა 2022 წლის მანძილზე სამშენებლო მარაგების ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა და გაზარდა სამშენებლო მომსახურების ღირებულება;
- კომპანიის 100%-ის მფლობელისგან მიიღო დასტური, საჭიროების შემთხვევაში საოპერაციო საქმიანობის დაფინანსებაზე ფინანსური ანგარიშგების გამოცემიდან ერთი წლის მანძილზე და საჭიროების შემთხვევაში შემდგომ პერიოდზეც;
- კომპანია აგრძელებს თანამშრომლობას მომსახურე ბანკებთან, მიღებული სესხებზე არსებული ფინანსური შეზღუდვების დაუკმაყოფილებლობის მიუხედავად, ბანკს არ მიუმართავს სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული სანქციების, როგორც ბალანსის შემდგომ მოვლენებშია გაშიფრული, ბანკს კომპანიისთვის სანქციები არც 2023 წელს არ დაუკისრებია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების რეზერვის დარიცხვა ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორცაა კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, დეფოლტი, გადახდის პირობების მნიშვნელოვანი დარღვევა), რომ კომპანია ვერ მიიღებს თანხას მთლიანი მოცულობით, ხოლო რეზერვის თანხა წარმოადგენს წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებული მოთხოვნის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. როდესაც დადასტურდება, რომ კომპანია ვერ მიიღებს მოთხოვნებში არსებულ თანხებს მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის რეზერვთან.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	საწყობი	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	606,168	1,342,323	987,762	819,107	3,838,474	7,593,834
შემოსვლა	-	-	14,257	50,397	974,362	1,039,016
გასვლა	-	-	(215,893)	(525,998)	(38,858)	(780,749)
ჩამოწერა	-	-	-	-	(93,925)	(93,925)
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	606,168	1,342,323	786,126	343,506	4,680,053	7,758,176
შემოსვლა	-	-	106,135	15,000	229,528	350,663
მარაგებიდან ძირითად საშუალებებზე გადმოტანა	-	-	-	-	146,736	146,736
გასვლა	(331,200)	(293,719)	(11,765)	(83,452)	(76,310)	(796,446)
ჩამოწერა	-	-	-	-	(86,163)	(86,163)
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	274,968	1,048,604	880,496	275,054	4,893,844	7,372,966
დაგროვილი ცვეთა						
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(111,604)	(448,652)	(57,759)	(1,950,506)	(2,568,521)
წლის ცვეთის ხარჯი	-	(67,116)	(120,436)	(37,326)	(718,883)	(943,761)
რეალიზებული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	37,146	64,917	34,122	136,185
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	91,147	91,147
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(178,720)	(531,942)	(30,168)	(2,544,120)	(3,284,950)
წლის ცვეთის ხარჯი	-	(61,984)	(124,077)	(16,929)	(727,785)	(930,775)
რეალიზებული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	103,273	4,753	10,402	67,781	186,209
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	85,508	85,508
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(137,431)	(651,266)	(36,695)	(3,118,616)	(3,944,008)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	606,168	1,163,603	254,184	313,338	2,135,933	4,473,226
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	274,968	911,173	229,230	238,359	1,775,228	3,428,958

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებების დატვირთულია იპოთეკით/გირათი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში

დასახელება	წილი	ინვესტიცია	საოპერაციო საქმიანობა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ვახუშტი პლაზა	60%	ერთობლივი საწარმო	მშენებლობა	1,402,571	3,397,719
სს ვილა გოდოლი	30%	მეკავშირე საწარმო	მშენებლობა	-	1,266,245
შპს ემბიჯი პროდაქშენ	50%	მეკავშირე საწარმო	სამშენებლო მასალების წარმოება	230,205	-
				1,632,776	4,663,964

ვახუშტი პლაზაში ინვესტიცია 2022 წელს 1,995,148 ლარით გაუფასურდა, ასევე 2022 წელს სრულად გაუფასურდა ვახუშტი პლაზაზე გაცემული სესხი 626,075 ლარის მოცულობით, ინვესტიციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-18 განმარტებით შენიშვნაში.

სს ვილა გოდოლში წილის რეალიზაცია 2022 წლის 28 აპრილს მოხდა, ინვესტიცია 2021 წელს 485,137 ლარით გაუფასურდა. კომპანიამ 2022 წელს დააარსა შპს ემბიჯი პროდაქშენი, სადაც ფლობს კომპანიის 50%-ს.

6. გაცემული სესხები

	დაფარვის თარიღი	ვალუტა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
არა დაკავშირებული მხარეზე გაცემული მიმდინარე სესხი 1	1-იან-25	ლარი	245,500	-
სხვა დაკავშირებული მხარეზე გაცემული მიმდინარე სესხი 1	1-აგვ-24	ლარი	66,200	-
სხვა დაკავშირებული მხარეზე გაცემული მიმდინარე სესხი 2	1-აგვ-24	ევრო	71,087	162,217
სხვა დაკავშირებული მხარეზე გაცემული მიმდინარე სესხი 3	1-დეკ-25	დოლარი	92,163	-
ერთობლივ საწარმოზე გაცემული სესხი	10-იან-25	ლარი	-	582,388
			474,950	744,605

გაცემული სესხები გაცემულია კომპანიის და კომპანიის მფლობელის დაკავშირებულ მხარეებზე, სესხების საპროცენტო განაკვეთი 0%-ს შეადგენს.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2022
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული მიმდინარე სესხი	229,450	744,605
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული გაუფასურებული სესხი	653,790	-
გაუფასურება	(653,790)	-
	229,450	744,605
არადაკავშირებული მხარეებზე გაცემული სესხი	245,500	-
არადაკავშირებული მხარეებზე გაცემული სრულად გაუფასურებული სესხი	462,747	-
	(462,747)	-
	245,500	-
სულ გაცემული სესხები	474,950	744,605

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სამშენებლო მასალები	646,528	1,005,429
გასაყიდად განკუთვნილი მარაგები	-	146,737
	646,528	1,152,166

კომპანიის მარაგები შედგება: ლითონის, ხის, პლასტმასისა და სამშენებლო პროექტების განსახორციელებლად საჭირო სხვა მასალებისგან.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური აქტივები		
სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული მოთხოვნები	713,005	649,983
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	1,706,919	2,112,056
საკონტრაქტო აქტივი	45,831	443,583
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების ანარიცხი	(1,813,914)	(1,868,708)
	651,841	1,336,914
არაფინანსური აქტივები		
ავანსები	122,073	253,805
სხვა*	44,837	19,485
გადახდილი ავანსების რეზერვი	(46,126)	(53,530)
	120,784	219,760
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	772,625	1,556,674

*ყველა მიმდინარე სამშენებლო კონტრაქტისთვის, რომლის ფარგლებშიც აღიარებულ ხარჯებს დამატებული მოგება (გამოკლებული აღიარებული ზარალი) აღემატება ჯგუფის მიერ გამოწერილ ინვოისს, ჯგუფი აღიარებს სახელშეკრულებო აქტივს, ხოლო როდესაც ხარჯებს დამატებული მოგება ნაკლებია გამოწერილ ინვოისზე, ჯგუფი აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოშობს შემოსავლების აღიარებასთან დაკავშირებულ დასაბეგრ დროებით სხვაობებს, რომელიც აისახება სავაჭრო და სხვა აქტივებში.

კომპანია მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებისთვის იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას მსს ფასს-ის მიხედვით. კომპანია ვადაგადაცილებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებას აკეთებს ინდივიდუალურად, დარჩენილი აქტივები უფასურდება ჯგუფურად. ჯგუფურ გაუფასურებაში მოხვედრილი ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება ისტორიული საკრედიტო ზარალის მოსალოდნელი ცვლილებებით განსაზღვრული განაკვეთების მიხედვით. კოლექტიურად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებისთვის, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მიხედვით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფურად გაუფასურებული ფინანსური მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე	0-30 დღე	31-დან 90 დღე	91-დან 180 დღე	181 დან 360 დღე	361 დღეზე მეტი	სულ
ანარიცხი (%)	1-2%	11-12%	23%	34-35%	57-58%	100%	
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	83,247	13,946	17,173	92,856	78,955	289,085	575,262
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(956)	(1,604)	(3,950)	(32,035)	(45,399)	(289,085)	(373,029)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	82,291	12,342	13,223	60,821	33,556	-	202,233

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფურად გაუფასურებული ფინანსური მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე	0-30 დღე	31-დან 90 დღე	91-დან 180 დღე	181 დან 360 დღე	361 დღეზე მეტი	სულ
ანარიცხი (%)	1-2%	11-12%	23%	34-35%	57-58%	100%	
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22,941	302	1,279	12,170	20,430	227,358	284,480
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(264)	(35)	(294)	(4,199)	(11,747)	(227,358)	(243,897)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22,677	267	985	7,971	8,683	-	40,583

ინფორმაცია ინდივიდუალურად გაუფასურებული ფინანსური მოთხოვნების შესახებ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მთლიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,890,493	2,921,142
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(1,440,885)	(1,624,811)
	449,608	1,296,331

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფული სალაროში	2,466	4,608
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	66,137	260,808
	68,603	265,416

10. მიღებული სესხები

მიღებული სესხები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სესხის ძირი	5,235,051	7,132,580
სესხის პროცენტი	15,146	-
	5,250,197	7,132,580

ვალდებულებების რეკონსილაცია 2022 და 2021 წლების ფინანსური ოპერაციებიდან წარდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	7,132,580	4,944,143
ფულადი ნაკადები	(1,367,873)	2,304,571
არაფულადი ნაკადები:		
წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	425,237	562,436
გადაფასება	(939,747)	(678,570)
ნაშთი წლის ბოლოს	5,250,197	7,132,580

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
კომერციული ბანკი	ლარი	15%	29-სექ-26	-	1,537,491
კომერციული ბანკი	ევრო	LIBOR განაკვეთს + 6%	29-სექ-26	1,747,202	2,610,619
კომერციული ბანკი	ევრო	LIBOR განაკვეთს + 6%	29-სექ-22	-	1,226,400
კომერციული ბანკი	ევრო	4.50%	31-მარ-22	1,399,600	1,681,850
კომერციული ბანკი	ევრო	LIBOR განაკვეთს + 7%	25-ოქტ-23	288,440	-
კომერციული ბანკი	ევრო	7.8%	25-ოქტ-25	721,100	-
კომერციული ბანკი	ევრო	8.5%	19-დეკ-24	721,100	-
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	ლარი	0%	15-თებ-23	179,506	76,220
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	ლარი	0%	15-თებ-23	193,249	-
ჯამი				5,250,197	7,132,580

კომპანიას მიღებულ სესხებზე აქვს ქვემოთ მოცემული ფინანსურ კოეფიციენტები, ფინანსური კოეფიციენტების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, რაც დაკავშირებულია მიღებული სესხების მოთხოვნისთანავე დაფარვის ვალდებულებასთან ან საპროცენტო ხარჯის ზრდასთან.

კომპანია ვერ აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ფინანსურ კოეფიციენტს	2022
სასესხო ვალდებულებები/EBITDA	<300%
DSCR (P&L Based)	>1.3
DSCR (CFADS)	>1.05
ICR	>3.0

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური ვალდებულებები		
სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული სავაჭრო ვალდებულებები	242,095	1,120,005
წილის შესყიდვის ვალდებულება	-	972,851
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	360,305	98,804
სულ ფინანსური ვალდებულებები	602,400	2,191,660
არაფინანსური ვალდებულებები		
საკონტრაქტო ვალდებულება	963,574	1,566,641
*სამშენებლო პროექტებზე წინასწარ აღიარებული ზარალი	141,508	1,296,267
სხვა გაცემული ავანსები	173,588	69,997
სულ არაფინანსური ვალდებულებები	1,278,670	2,932,905
სულ ვალდებულებები	1,881,070	5,124,565

ყველა მიმდინარე სამშენებლო კონტრაქტისთვის, რომლის ფარგლებშიც აღიარებულ ხარჯებს დამატებული მოგება (გამოკლებული აღიარებული ზარალი) აღემატება კომპანიის მიერ გამოწერილ ინვოისს, კომპანია აღიარებს სახელშეკრულებო აქტივს, ხოლო როდესაც ხარჯებს დამატებული მოგება ნაკლებია გამოწერილ ინვოისზე, კომპანია აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულებას.

* 2022 წელს კომპანიის სამშენებლო პროექტების ნაწილი იყო ზარალიანი, კომპანიამ მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნული პროექტების მომავალი პერიოდების ზარალი წინასწარ აღიარა 2022 წელს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. ამონაგები სამშენებლო კონტრაქტებიდან და ბეტონის რეალიზაციიდან

ამონაგები სამშენებლო კონტრაქტებიდან და ბეტონის რეალიზაციიდან გეოგრაფიული განაწილების მიხედვით 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
თბილისი	13,057,643	7,483,247
კახეთი	1,006,738	857,399
სამეგრელო	864,363	1,542,845
სამცხე-ჯავახეთი	48,289	666,242
	14,977,033	10,549,733

კომპანიის ამონაგები სამშენებლო კონტრაქტებიდან 2022 და 2021 წლებში წარმოდგენდა რკინა-ბეტონის სამუშაოებიდან მიღებულ შემოსავალს. სამშენებლო კონტრაქტები მოიცავს გარანტიის პერიოდს, რომლის ფარგლებშიც კომპანია ვალდებულია პროექტის დასრულების შემდეგ აანაზღაუროს ხარვეზები და ნაკლოვანებები.

13. სამშენებლო კონტრაქტების ხარჯი

სამშენებლო კონტრაქტებისა და ბეტონის წარმოების ხარჯი გეოგრაფიული განაწილების მიხედვით 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
თბილისი	(11,021,693)	(6,974,744)
კახეთი	(1,204,069)	(976,351)
სამეგრელო	(405,336)	(2,031,118)
სამცხე-ჯავახეთი	(115,017)	(767,401)
	(12,746,115)	(10,749,614)

სამშენებლო კონტრაქტების ხარჯი მომსახურების ტიპის მიხედვით 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
რკინა-ბეტონის სამუშაოები	(12,527,196)	(10,749,614)
სხვა	(218,919)	-
	(12,746,115)	(10,749,614)

სამშენებლო კონტრაქტების ხარჯი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ქვეკონტრაქტორები	(5,326,445)	(3,726,251)
მარაგები	(3,955,789)	(2,997,909)
ხელფასები	(2,356,778)	(2,915,091)
ცვთა	(896,916)	(897,067)
სხვა	(210,187)	(213,296)
	(12,746,115)	(10,749,614)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

14. სხვა წმინდა შემოსავალი

	2022	2021
შემოსავალი სამშენებლო ტექნიკის იჯარიდან	192,852	93,642
შემოსავალი/ (ხარჯი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	909,024	(11,421)
სხვა	35,460	15,738
	1,137,336	97,959

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022	2021
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი*	(455,274)	(496,982)
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	(198,931)	(104,551)
კომუნალური ხარჯები	(72,432)	(43,427)
საბანკო ხარჯი	(72,293)	(134,896)
მარაგების ჩამოწერა	(65,884)	(110,061)
ცვეთა	(33,858)	(39,713)
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(10,615)	(40,225)
სხვა	(176,826)	(218,035)
	(1,086,113)	(1,187,890)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია მსს ფასს-ის 33-ე განყოფილება „დაკავშირებული მხარის განმარტება“, წარმოადგენს:

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშგებულ საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშგებულ საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშგებულ საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშგებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშგებულ საწარმოზე;

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიას და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღში დასრულებული წლისთვის მოცემულია შემდეგნაირად:

	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარე
ფინანსური ანგარიშგების მუხლი		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(204,055)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	42,407
გაცემული სესხები	-	229,450
მიღებული სესხი	193,250	179,506
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
სამშენებლო კონტრაქტების ხარჯი	-	(413,160)
სხვა შემოსავალი	-	111,325
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	(31,171)	-

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღში დასრულებული წლისთვის მოცემულია შემდეგნაირად:

	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარე	ასოცირებული კომპანია	ერთობლივი საწარმო
ფინანსური ანგარიშგების მუხლი				
სავაჭრო და სხვა	-	-	(972,851)	-
ვალდებულებები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	363,024	-	50,527
გაცემული სესხები	-	162,217	-	582,388
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
სამშენებლო კონტრაქტების	-	439,430	-	-
ხარჯი	-	-	-	-
სხვა შემოსავალი	-	696,988	-	-
სხვა საოპერაციო და	(47,747)	-	-	-
ადმინისტრაციული ხარჯი	-	-	-	-
წმინდა ფინანსური ხარჯი	-	-	-	61,535

17. პირობითი ვალდებულებები

ფინანსურ კოეფიციენტებთან შესაბამისობა

კომპანიას მიღებულ სესხებზე აქვს ფინანსურ კოეფიციენტები, ფინანსური კოეფიციენტების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, რაც დაკავშირებულია მიღებული სესხების მოთხოვნისთანავე დაფარვის ვალდებულებასთან ან საპროცენტო ხარჯის ზრდასთან.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებდა ფინანსურ შეზღუდვებს. ფინანსური შეზღუდვების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-18 განმარტებით შენიშვნებში.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

მმართველობითი ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის კანონის შესაბამისად, ანგარიშგება და აუდიტი (მუხლი 7) კომპანიას აქვს ვალდებულება მოამზადოს და წარუდგინოს მმართველობის ანგარიშგება სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოს, დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრამდე. კომპანიამ ეს ვალდებულება შეასრულა ფინანსური ანგარიშგების გაცემის დღეს.

სამშენებლო კონტრაქტების ანარიცხი

კომპანიის სამშენებლო პროექტების კონტრაქტები ითვალისწინებს საგარანტიო პერიოდს მშენებლობის დასრულების შედეგ, ასევე ჯარიმებს პროექტის დასრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში, კომპანია თითოეული პროექტისთვის ინდივიდუალურად აფასებს მოსალოდნელი ხარჯის მოცულობას და აღიარებს ანარიცხს.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ერთობლივი საწარმოს წილის რეალიზაცია

2023 წლის აპრილში კომპანიამ სრულად გაყიდა ვახუშტი პლაზაში არსებული წილი.

მიღებული და გაცემული სესხები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ მიიღო 819,853 ლარის მოცულობის სესხი, კომპანიამ ასევე გასცა 1,227,896 ლარის მოცულობის სესხი

ფინანსურ კოეფიციენტებთან შესაბამისობა

ფინანსურ კოეფიციენტებთან შეუსაბამობის გამო ბანკს არ გამოუყენებია სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული სანქციები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები ვრცელდება ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ყველა პერიოდზე, თუ საწინააღმდეგო არ არის ნათქვამი.

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ოპერირებს („ფუნქციონალური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიას ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიას ფუნქციონალურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიას ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა კომპანიას ერიცხება წრფივად, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	არ იცვითება
საწყობები	20
მანქანა-დანადგარები	3-8
სამშენებლო ტექნიკა	3-7
სატრანსპორტო საშუალებები	10

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდგომი აღიარება კი თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან მარაგების თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

დაბეგვრა

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15%.

მოგების გადასახადის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ წარმოიქმნება. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია მომსახურების ანაზღაურების ნაწილს იღებს ავანსად, ნაწილს კი მომსახურების გაწევის მანძილზე და შესრულებული სამუშაოების დასრულების შემდგომ, მოთხოვნებს არ ერიცხებათ სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. სავაჭრო ვალდებულებები წარმოქმნილია ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და არ ერიცხება პროცენტი.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და ამავე დროს იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს კომპანიის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს კომპანიის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს ორი ან მეტი მონაწილე მხარის ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე. ერთობლივი კონტროლი წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრატეგიული ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილე) ერთსულოვან თანხმობას. წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულებით.

ამონაგები რეალიზაციიდან

კომპანია ამონაგებს რეალიზაციიდან აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე, ან და მომსახურების შედეგზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა. ყველა შეთანხმებაში კომპანია არის მარწმუნებელი და ამონაგებს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით.

კონტროლის გადაცემის დასადგენად საჭიროა შეზღუდული მსჯელობა: როდესაც პროდუქტის ფიზიკური მიტანა ხდება შეთანხმებულ ადგილზე კომპანიას აღარ აქვს პროდუქტის ფიზიკურად ფლობის უფლება, ამ მომენტში წარმოექმნება ანაზღაურების მიღების უფლება (ერთჯერადი გადახდა მიტანაზე) და მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადაეცემა მყიდველს.

სამშენებლო კონტრაქტები

ამონაგების აღიარების დროულობა

კონტრაქტებთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების მიხედვით, კონტრაქტის მთელი პერიოდის მანძილზე შუალედური შესრულებების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს გამოკვლევის მეთოდის გამოყენებით, ხელშეკრულებაში მოცემული სამუშაოების ერთეულის ფასის და შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით. კონტრაქტთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მათი გაწევისთანავე.

კომპანიის თითოეული ხელშეკრულება წარმოადგენს ცალკე სახელშეკრულებო ვალდებულებას და არ საჭიროებს რთულ შეფასებებს შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულებების გადანაწილებაზე. ხელშეკრულებებში კომპანიის ანაზღაურება შესასრულებელი მომსახურების მიხედვით ფიქსირებულია.

ყველა იმ დაუმთავრებელი კონტრაქტისათვის, როდესაც გაწეული დანახარჯების თანხა დამატებული აღიარებული მოგება და გამოკვლეული აღიარებული ზარალის თანხა აღემატება შუალედური ანგარიშსწორების თანხის ჯამს, კომპანიას წარმოექმნება დამკვეთისგან მისაღები თანხა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარსდება მოკლევადიანი აქტივების ნაწილში, როგორც საკონტრაქტო აქტივი.

სამშენებლო ხარჯების აღიარება

სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული საკონტრაქტო ხარჯები აღიარებულია, როდესაც ისინი წარმოიქმნება. როდესაც სავარაუდოა, რომ მთლიანი კონტრაქტის ხარჯები გადააჭარბებს მთლიანი კონტრაქტის შემოსავალს, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლად აღიარდება ხარჯებად.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკონტრაქტო ხარჯები მოიცავს: (ა) ხარჯებს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება კონკრეტულ კონტრაქტს; (ბ) ზოგადად საკონტრაქტო საქმიანობას მიკუთვნებული ხარჯები, რომლებიც შეიძლება გამოიყოს ხელშეკრულებაში; და (გ) სხვა ის ხარჯები, რომლებიც სპეციალურად გადასახდელია მომხმარებლისთვის ხელშეკრულების პირობებით. ასეთი ხარჯები გამოიყოფა ისეთი მეთოდებით, რომლებიც სისტემატური და რაციონალურია და თანმიმდევრულად გამოიყენება იმ ყველა ხარჯის მიმართ, რომელსაც აქვს მსგავსი მახასიათებლები.

თანხები, რომლებიც დარიცხულია დასრულებული სამუშაოსთვის, მაგრამ არ არის გადახდილი მომხმარებლის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდება როგორც სავაჭრო მოთხოვნები.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ორგანიზაციიდან გასვლა.

იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ორგანიზაციიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ

ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიას ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

შპს M B G. LTD

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

ზოგადი მიმოხილვა

შპს M B G. LTD დაარსდა 2011 წელს. კომპანიამ საოპერაციო საქმიანობის განხორციელება დაიწყო 2011 წელს. მისი ძირითადი საქმიანობა არის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰყავს ერთი ერთობლივი და ერთი ასოცირებული საწარმო: შპს „ვახუშტი პლაზა“ და შპს „ემბიჯი პროდაქშენ“

შპს ვახუშტი პლაზა დაარსდა 2018 წელს იმისთვის, რომ დამფუძნებლების მიერ შეტანილი კაპიტალით და ბანკიდან მოზიდული სესხით ააშენოს 6,000 მ.კვ. შენობა-ნაგებობა. ეს პროექტი დასრულდა 2021 წელს, აშენებული შენობის სხვადასხვა ფართები იყიდება როგორც საოფისე ფართები.

კომპანიამ 2022 წელს დაარსა შპს ემბიჯი პროდაქშენი სადაც ფლობს კომპანიის 50%-ს. შპს ემბიჯი პროდაქშენი აწარმოებს სამშენებლო ინვენტარს, შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

კომპანიამ 2022 წელს სრულად გაყიდა საკუთარი წილი სს ვილა გოდოლში, შესაბამისად 2022 წლის ბოლოს აღნიშნულ კომპანიაში M B G. LTD წილს არ ფლობს.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის გიორგი ტორჩინავა, რომელიც ასევე არის კომპანიის დირექტორი.

კომპანია ეწევა სამშენებლო სამუშაოებს, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობის მშენებლობა და რეაბილიტაცია;
- სარემონტო სამუშაოები

კომპანიის დაარსების დღიდან შესრულებული აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტების მშენებლობა, მათ შორის:

- სოკარის სათაო ოფისი;
- გრინჰილ რეზიდენსი;
- სასტუმრო სილნალში;
- ბიოტა პარკი;
- მრავალსართულიანი სახლები ბელიაშვილზე;
- ბლოქსი ნუცუბიძის პლატოზე.

კომპანია სამშენებლო პროექტებს ძირითადად საკუთარი ტექნიკურ-მატერიალური ბაზის საშუალებით ახორციელებს.

კომპანია საოპერაციო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ საჭიროებს გეოგრაფიულ გაფართოებას, შესაბამისად ის წარმოდგენილია თბილისში ერთი ფილიალით, სადაც ძირითადად განთავსებულია კომპანიის ადმინისტრაცია. კომპანიაში 2022 წლის განმავლობაში საშუალოდ 120 თანამშრომელი იყო დასაქმებული.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

კომპანია მუდმივად ახორციელებს თანამშრომლების გადამზადებასა და პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას, რასთან დაკავშირებითაც 2022 წელს კომპანიის თანამშრომლებს ჩაუტარდათ, უსაფრთხოების ტრენინგები, ასევე მენეჯმენტისა და ექსელის კურსები.

კომპანია მშენებლობის მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად, ახორციელებს ახალი სამშენებლო მეთოდებისა და მასალების მოძიებასა და დანერგვას, კომპანია ასაშენებელი შენობა-ნაგებობებისათვის ძირითადად იყენებს Doka-ს წარმოების საყალიბე ინვენტარს, რომელიც მონოლითური სამუშაოებისათვის საუკეთესო ხარისხს იძლევა.

კომპანიის მთავარი ამოცანაა, პროექტების რაოდენობის ზრდის საშუალებით, გაზარდოს საქმიანობის მასშტაბები. ამავდროულად, შეინარჩუნოს მომსახურების მაღალი ხარისხი, მიწოდების ვადების დაცვითა და რესურსების ეფექტიანი მოხმარებით. აღნიშნული მიზნების მისაღწევად კომპანია გეგმავს კონკრეტული ნაბიჯების განხორციელებას:

- პროცესების ოპტიმიზაცია;
- არსებული თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება;
- ახალი მაღალპროფესიონალი თანამშრომლების აყვანა.

კომპანია თვლის, რომ ზემოთ მოცემული აქტივობები გააუმჯობესებს სამშენებლო ობიექტზე მიმდინარე ყოველდღიური პროცესების მართვასა და კონტროლს, რაც ასევე გაზრდის რესურსების განკარგვის ეფექტიანობას.

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მონაცემების მიმოხილვა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2022	2021
ამონაგები სამშენებლო კონტრაქტებიდან	14,977,033	10,549,733
სამშენებლო კონტრაქტების ხარჯი	(12,746,115)	(10,749,614)
საერთო (ზარალი)/მოგება	2,230,918	(199,881)
ზარალი სამშენებლო პროექტებიდან	(141,508)	(1,296,267)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,086,113)	(1,187,890)
სხვა წმინდა შემოსავალი	1,137,336	97,959
საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯის ცვლილება	11,672	755,421
გაცემული სესხის გაუფასურება	(1,116,536)	-
ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციის გაუფასურება	(1,995,148)	(485,137)
საოპერაციო ზარალი	(959,379)	(2,315,795)
წმინდა ფინანსური ხარჯი	(424,888)	(510,049)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	855,554	692,491
ზარალი დაბეგვრამდე	(528,713)	(2,133,353)
მოგების გადასახადის ხარჯი	(231)	(63,158)
მთლიანი სრული ზარალი	(528,944)	(2,196,511)

კომპანია 2022 წლის შედეგებით გასულია ზარალზე. აღნიშნული ზარალი გამოწვეულია მომდევნო ორი მიზეზით: გაცემული სესხების გაუფასურებით და ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის გაუფასურებით.

კომპანიის მომგებიანობის მაჩვენებლები

	2022	2021
მთლიანი მოგების მარჟა	14.9%	-1.9%
წმინდა მოგების მარჟა	-3.5%	-20.8%

კომპანიის მომგებიანობის მაჩვენებლები ადასტურებს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას. მთლიანი მოგების მარჟა წინა წელთან შედარებით გაიზარდა -1.9%-დან 14.9%-მდე, ხოლო წმინდა მოგების მარჟა გაიზარდა -20.8%-დან -3.5%-მდე. კომპანიის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა 2022 წელს, კომპანიამ გაყიდა ზარალიანი ინვესტიცია. მიმდინარე მდგომარეობით, კომპანიას გაფორმებული აქვს 3 ახალი კონტრაქტი, რომელთა ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება აღემატება 6.7 მილიონ ლარს.

საკუთარი აქციების შეძენა

კომპანიის საწესდებო კაპიტალი არ არის დაყოფილი აქციებად. 100%-იანი წილის მფლობელია გიორგი ტორჩინავა. შესაბამისად, 2022 წლის განმავლობაში არ ჰქნია ადგილი საკუთარი აქციების შესყიდვას.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

- **ამონაგების დივერსიფიცირების რისკი**

კომპანიის ძირითად დამკვეთებს წარმოადგენენ სხვადასხვა კერძო პირები, შედეგად კომპანიის ამონაგების წყარო დივერსიფიცირებულია.

- **რეპუტაციული რისკი**

კომპანია ძირითადად ასრულებს კერძო სამშენებლო პროექტებს, აღნიშნული პროექტების დროულად და ხარისხიანად დასრულება არის კომპანიის უმთავრესი მიზანი. შესაბამისად, აღნიშნული პროექტების ნებისმიერმა შეფერხებამ, თუნდაც კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შეიძლება უარყოფითი გამოხმაურება გამოიწვიოს და ზიანი მიაყენოს კომპანიის რეპუტაციას. იმისთვის, რომ კომპანიამ არ შეექმნას მსგავსი პრობლემები, კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა უშუალოდ არის ჩართული პროექტების დროულად და ხარისხიანად დასრულების კონტროლში.

- **ინფლაციის რისკი**

კომპანიას აქვს პროექტები როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში. ლარში გაფორმებულ სამშენებლო კონტრაქტებში ფასები ფიქსირებულია, აღნიშნული პროექტების კონტრაქტის გაფორმებასა და მის დასრულებას შორის არსებული დრო ხშირ შემთხვევაში საკმაოდ დიდია. აღნიშნულის გამო კომპანიას აქვს რისკი, რომ ინფლაციის გამო, ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული სამუშაოების შესრულების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდება პროექტის განხორციელების მანძილზე. რისკის გასაწესებად კომპანია უმეტეს ხელშეკრულებაში პუნქტის სახით დებს შეთანხმებას იმაზე რომ თუ ლარი გაუფასურებისას გარკვეულ ზღვარს ჩამოცდება შეთანხმებული თანხები გადაიხედება.

- **უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული რისკი**

უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები მნიშვნელოვან გამოწვევებს ქმნის გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების თვალსაზრისით. შესაბამისად მნიშვნელოვნად იზრდება გამოწვევები, რომლებიც ქართული ეკონომიკის წინაშე არსებობს. რისკ ფაქტორებს შორის, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე, გამოვყოფდით: ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა, ლარის გაცვლითი კურსის ცვალებადობა, რუსეთიდან და უკრაინიდან ფულადი გზავნილების მოცულობის არასტაბილურობას.

რუსეთ-უკრაინის ომი და რუსეთის მიმართ დაწესებული საერთაშორისო სანქციები მნიშვნელოვან შეფერხებებს ქმნის აღნიშნული ქვეყნებიდან პროდუქციის ექსპორტში, რამაც უკვე გამოიწვია ცალკეულ სასურსათო პროდუქტებზე და ნედლეულზე ფასების ზრდა. აღნიშნული განაპირობებს ინფლაციური ფაქტორების ზრდას, როგორც გლობალურად, ასევე ქვეყნის მასშტაბით. საქართველოში სამომხმარებლო ფასების ზრდის მაღალი მაჩვენებელი გამოიწვევს კომპანიის საოპერაციო დანახარჯების ზრდას. აღნიშნული ეფექტის შემცირების მიზნით კომპანია განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს ხარჯების ეფექტიანობის გაზრდისა და შესყიდვების პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაციის ზრდა მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

ორგანიზაციას გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. მენეჯმენტი აკონტროლებს სავალუტო რისკს, იმით, რომ ცდილობს აქტივები და ვალდებულებები ერთი და იმავე ვალუტაში ჰქონდეს.

შპს M B G. LTD

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის აპრილში კომპანიამ სრულად გაყიდა ვახუშტი პლაზას წილი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ მიიღო 819,853 ლარის მოცულობის სესხი და გასცა 1,227,896 ლარის მოცულობის სესხი.

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 13 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გიორგი ტორჩინავა

შპს M B G. LTD

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის აპრილში კომპანიამ სრულად გაყიდა ვახუშტი პლაზას წილი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ მიიღო 819,853 ლარის მოცულობის სესხი და გასცა 1,227,896 ლარის მოცულობის სესხი.

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 13 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გიორგი ტორჩინავა